WIZZ DISCOUNT CLUB-ის ზოგადი წესები და პირობები

1. ინტერპრეტაცია
   1.1. Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგად პირობებში (**GCC**) განსაზღვრულ ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვს წინამდებარე ზოგად წესებსა და პირობებში გამოყენებისას (**GTC**), თუ ქვემოთ არ არის მითითებული ან კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს.
   1.2. GCC-სა და GTC-ს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება GTC-ს დებულებებს.

2. განმარტებები
   2.1. **აპი**: Wizz Air-ის მობილური აპლიკაცია, რომელიც დაკავშირებულია ვებსაიტთან და იმართება Wizz Air-ის მიერ ან მისთვის და სადაც შესაძლებელია ჯავშნების გაფორმება.
   2.2. **ჯავშანი:** ჯავშანი ერთი ან მეტი Wizz Air ავიარეისისთვის (ნებისმიერი დამატებითი სერვისით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დადასტურებულია ჩვენ მიერ.
   2.3. **ერთობლივი საკრედიტო ბარათი:** სხვადასხვა ბანკის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული WIZZ საკრედიტო ბარათები.
   2.4. **ტრანსპორტირების ზოგადი პირობები** ან **GCC**: Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგადი პირობები, რომლებიც გამოქვეყნებულია ვებსაიტზე და დროდადრო იცვლება Wizz Air-ის მიერ.
   2.5. **იტალიის ადგილობრივი ავიარეისი**: Wizz Air-ის მიერ შესრულებული ავიარეისი მარშრუტზე, რომელიც პირდაპირ აკავშირებს ორ (2) პუნქტს იტალიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.
   2.6. **წევრი** ან **თქვენ**: პირი, რომელიც დასახელებულია Wizz Discount Club-ის წევრად, კლუბის წევრობაზე განაცხადის შეტანისას.
   2.7. **ფასიანი წევრობა:** WIZZ Discount Club-ის იმ ტიპის წევრობები, რომლებიც ხელმისაწვდომია გარკვეული გადასახადის სანაცვლოდ (ასეთია: სტანდარტული წევრობა, ჯგუფური წევრობა, იტალიის წევრობა)
   2.8. **ვებსაიტი:** www.wizzair.com.
   2.9. **WIZZ Discount Club** ან **Club** არის წინამდებარე GTC-ს საფუძველზე და მის შესაბამისად უზრუნველყოფილი Wizz Air-ის სპეციალური შეთავაზებების კომპილაცია, რომელიც წევრებს ანიჭებს კონკრეტულ შეღავათებს წინამდებარე დოკუმენტში მითითებულის შესაბამისად.
   2.10. **Wizz Air** ან **ჩვენ**: Wizz Air-ის სუბიექტი (Wizz Air Hungary Ltd, Wizz Air UK Ltd, Wizz Air Malta Ltd, Wizz Air Abu Dhabi LLC ან Wizz Air-ის ნებისმიერი სხვა სუბიექტი), რომლის მიერაც სრულდება ის რეისი, რომელთან ერთადაც შეიძინეთ WIZZ Discount Club-ის წევრობა და რომელიც გასცემს ინვოისს WIZZ Discount Club-ის წევრობის შეძენისთვის.

3. WIZZ DISCOUNT CLUB-ის წევრობის ტიპები
   3.1. მსუბუქი დონის წევრობა: ეს უფასო წევრობა გაწვდით შედარებით მცირე შეღავათებს, ფასდაკლებებს (ანუ უფრო მცირეს, ვიდრე ფასიან წევრებს აქვთ) და

შეთავაზებებს, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ წევრისთვის, წევრად რეგისტრაციის სანაცვლოდ გადახდის ყოველგვარი ვალდებულების გარეშე.

3.2. სტანდარტული წევრობა: ამ წევრობის ფარგლებში შეღავათებს მიიღებენ წევრი და ერთი (1) თანამგზავრი.

3.3. ჯგუფური წევრობა: ამ წევრობის ფარგლებში შეღავათებს მიიღებენ წევრი და მაქსიმუმ ხუთი (5) თანამგზავრი.

3.4. იტალიის წევრობა: ეს წევრობა ვრცელდება მხოლოდ საჰაერო ტრანსპორტირებასა და მასთან დაკავშირებულ სერვისებზე, რომლებსაც გთავაზობთ Wizz Air იტალიის ადგილობრივ ავიარეისებზე ან მათთან დაკავშირებით. ეს სპეციალური წევრობა ხელმისაწვდომია სტანდარტული და ჯგუფური ტიპის სახით.

4. გაწევრიანებისა და გაუმჯობესების პროცესი

4.1. თქვენ შეგიძლიათ გაწევრიანდეთ სტანდარტულ/ჯგუფურ/იტალიის (სტანდარტულ და ჯგუფურ) Wizz Discount Club-ში:

(ა) ონლაინ, ჩვენს ვებსაიტზე ან აპში ჯავშნის გაფორმებისას — ჩვენი ავიარეისის დაჯავშნისას Club-ის წევრობის შეძენის და წევრობის წლიური გადასახადის სრულად გადახდის მეშვეობით;

(ბ) ჩვენი საინფორმაციო ცენტრის საშუალებით, როდესაც ჯავშანს გააფორმებთ — ჩვენი საინფორმაციო ცენტრის გამოყენებით წევრობის შეძენისა და Club-ის წევრობის წლიური გადასახადის სრულად გადახდის მეშვეობით.

4.2. მსუბუქი დონის Wizz Discount Club-ში გაწევრიანება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ჩვენს ვებსაიტზე და აპში, ასევე, ონლაინ, ჯავშნის გაფორმების პროცესში. გაწევრიანების პირობა ჩვენი სპეციალური შემოთავაზებების საინფორმაციო ბიულეტენის გამოწერაა. უფასო წევრობა მოქმედებს გადახდის ყოველგვარი ვალდებულების გარეშე. ჩვენი საინფორმაციო ბიულეტენების გამოწერის გაუქმება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ როგორც ჩვენს ვებსაიტზე, ისე აპში, ასევე, საინფორმაციო ბიულეტენში გამოწერის გაუქმების ბმულზე დაწკაპუნების მეშვეობით. თუ გამოწერას გაუქმებთ, მსუბუქი დონის წევრობა ძალაში დარჩება და არ მიიღებთ შეტყობინებებს მსუბუქი დონის წევრობი სამომავლო დამატებითი ან ახალი ტიპის შეღავათების შესახებ.

4.3. კიდევ უფრო მეტი ფასდაკლების მისაღებად მსუბუქი დონის წევრობა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გადაიყვანოთ სტანდარტულ/ჯგუფურ ან იტალიის წევრობაზე დაჯავშნის პროცესში, პუნქტ 4.1-ში აღწერილი მეთოდებით.

4.4. სტანდარტული, ჯგუფური ან იტალიის Discount Club-ის წევრი გახდებით, როდესაც სრულად გადაიხდით ჯამურ საფასურს ჯავშნის გაფორმების დასრულებისას, Wizz Air კი გასცემს და დაადასტურებს მგზავრობის გეგმას თქვენთვის.

4.5. თუ Club-ში გაწევრიანდებით და შეიძენთ Wizz Discount Club-ის სტანდარტულ, ჯგუფურ ან იტალიის (სტანდარტულ ან ჯგუფურ) წევრობას, ავტომატურად ისარგებლებთ მსუბუქი დონის Discount Club-ის წევრებისთვის შეთავაზებული შეღავათებითა და ფასდაკლებებით.

4.6. თუ სტანდარტული წევრობა გაქვთ, თქვენ შეგიძლიათ მისი გადაყვანა ჯგუფურ წევრობაზე დაჯავშნის პროცესში, პუნქტ 4.1-ში აღწერილი მეთოდით.

4.7. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, უარი ვუთხრათ წევრობაზე ნებისმიერ პირს საფუძვლის გარეშე, ხოლო წევრის მხრიდან GTC-ს, GCC-ს, ვებსაიტის მომსახურების პირობების ან ნებისმიერი კანონისა და რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შევუწყვიტოთ წევრობა ასეთ წევრს.

5. საწევრო მოსაკრებლის გადახდა
   5.1. სტანდარტული/ჯგუფური/იტალიის Wizz Discount Club-ის წევრობის შეძენისას ვალდებული ხართ, სრულად გადაიხადოთ წევრობის ყოველწლიური მოსაკრებელი. ყოველწლიური მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია საბანკო ბარათით, საბანკო გადარიცხვით ან/და WIZZ კრედიტით.
   5.2. წევრობის მოსაკრებელი გეცნობებათ შეძენის დროს და ასევე მოცემული იქნება ვებსაიტზე.

6. წევრობის შეღავათები
   6.1. WIZZ Discount Club-ის წევრობა საშუალებას აძლევს წევრებს, ისარგებლონ Club-ის სპეციალური ტარიფებით, რომლებიც მიუწვდომელია არაწევრებისთვის, ასევე, სხვა შეღავათებით, რომელთა შესახებაც გეცნობათ წევრობის შეძენის მომენტში ან მოგვიანებით.
   6.2. კლუბის წევრობა არ იძლევა Club-ის განსაკუთრებული ტარიფების ხელმისაწვდომობის გარანტიას ყველა მარშრუტზე და ყოველთვის (მაგ., ადგილობრივი მარშრუტების, განსაკუთრებული ღონისძიებისთვის დანიშნული ავიარეისებისა და სხვა შემთხვევებში).
   6.3. Wizz Air იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, დროდადრო შეიტანოს ცვლილებები თავისი მარშრუტების ქსელში (მათ შორის და არა მხოლოდ, შეაჩეროს ერთი ან მეტი მარშრუტი).
   6.4. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევცვალოთ, გავაუმჯობესოთ ან შევამციროთ შეღავათები ნებისმიერ დროს, თუმცა ვალდებულებას ვიღებთ, რომ ამის შესახებ წინასწარ გაცნობოთ (გამონაკლისია უფასო წევრობის შეღავათები, რომლებიც წინასწარ შეტყობინების გარეშეც შეიძლება შეიცვალოს). ჩვენ, ასევე, შეიძლება დავაწესოთ მოთხოვნები ან შეზღუდვები შეღავათების გამოყენებაზე. შეღავათების შესახებ მიმდინარე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ჩვენს ვებსაიტზე, სექციაში WIZZ ინფორმაცია და სერვისები. თუ რომელიმე ასეთ შესწორებას არ დაეთანხმებით, შეგიძლიათ შეწყვიტოთ წევრობა ვებსაიტის, აპის ან ელფოსტის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს ამჟამინდელი GTC-ს პუნქტი 8.7.
   6.5. თუ ავიაბილეთს დაჯავშნით განსხვავებულ ვალუტაში, თქვენი დანაზოგი შეიძლება განსხვავებოდეს გაცვლით კურსის მიხედვით.
   6.6. შეღავათები ვრცელდება WIZZ Discount Club-ის წევრსა და იმავე ჯავშანში მითითებულ თანამგზავრებზე, თუ ჯავშანში მითითებული თანამგზავრების სრული რაოდენობა არ აღემატება WIZZ Discount Club-ის წევრობის შეძენილი ტიპის მიხედვით განსაზღვრულ ბენეფიციართა რაოდენობას.
   6.7. შეღავათები არ ეხება მგზავრ(ებ)ს, რომლ(ებ)ისთვისაც ცალკე ჯავშანი გააფორმეთ.
   6.8. წევრებს არ მიენიჭებათ შეღავათები და არც თანხა დაუბრუნდებათ იმ ჯავშნებისთვის, რომლებიც გაფორმდა წევრობის შეძენამდე.

6.9. კლუბის წევრობა სხვებს ვერ გადაეცემა. თუ თქვენი წევრობის არასანქცირებულ გამოყენებას შეამჩნევთ, დაუყოვნებლივ უნდა გვაცნობოთ ამის შესახებ.

6.10. მიუხედავად იმისა, თუ რომელი სუბიექტისგან შეიძინეთ WIZZ Discount-ის წევრობა, შეღავათები გერგებათ Wizz Air-ის ყველა სუბიექტის ავიარეისებთან დაკავშირებით, ამჟამინდელი GTC-ს შესაბამისად (გამონაკლისია იტალიის წევრობა).

6.11. შეღავათები ვრცელდება კონკრეტული რეისის მხოლოდ ერთ ჯავშანზე, WIZZ Discount Club-ში წევრობის ტიპის შესაბამისად. კონკრეტულ რეისზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი ჯავშნის გაფორმება WIZZ Discount Club-ში წევრობის მეშვეობით. წინამდებარე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში Wizz Air იტოვებს შესაბამისი ჯავშნ(ებ)ის გაუქმების უფლებას.

7. ზოგადი დებულებები

7.1. Wizz Air-ის ყველა სახის წახალისება, ტარიფი თუ სხვა სპეციალური შემოთავაზებები ექვემდებარება კონკრეტული შემოთავაზების წესებსა და პირობებს. თუ ჩვენ მიერ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, Wizz Discount Club-ის შეღავათების გამოყენება სხვა შემოთავაზებებთან ერთად არ შეიძლება.

7.2. კლუბის წევრობის საშუალებით შეძენილი ბილეთები ან/და სერვისები არ უნდა იყოს გამოყენებული კომერციული შეთავაზებების სახით თქვენ ან მესამე მხარის მიერ, მათ შორის და არა მხოლოდ, ინტერნეტ-აუქციონებზე ან სხვა ინტერნეტ-პლატფორმებზე.

7.3. ჯავშნის შეცვლის შემთხვევაში, იმისათვის, რომ იმავე ჯავშნის მონაწილე სხვა მგზავრებმა შეღავათებით ისარგებლონ, თქვენ აუცილებლად, ყოველთვის უნდა იყოთ ჯავშანში, როგორც მგზავრი. თუ თქვენ გამოირიცხეთ ჯავშნიდან, ყველა დანარჩენ მგზავრს რეგულარული ჯამური ტარიფი შეეხება და ჯამურ ტარიფებს შორის სხვაობის გადახდა მოუწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ჩვენ შეგვიძლია გავაუქმოთ ჯავშანი.

7.4. Club-ის წევრობის შეძენისას უნდა მიუთითოთ ზუსტი და ნამდვილი პერსონალური მონაცემები, რომლებიც შენახული უნდა გქონდეთ Club-ის შეღავათებით სარგებლობისას. თუ ზემოაღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებთ, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევწყვიტოთ თქვენი წევრობა ჩვენი შეხედულებისამებრ.

7.5. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, ცალმხრივად შევიტანოთ შესწორებები ამ GTC-ში ნებისმიერ დროს, რისთვისაც ვებსაიტზე გამოვაქვეყნებთ ჩასწორებულ GTC-ს.

7.6. თუ აქ სხვაგვარად არ არის მითითებული, ჩვენს ვებსაიტზე Club-ის წევრობის საშუალებით გაფორმებულ ჯავშნებზე ან შეძენილ სერვისებზე გავრცელდება ავიარეისის შემსრულებელი Wizz Air-ის სუბიექტის GCC.

8. მოქმედების ვადა და შეწყვეტა

8.1. სტანდარტული/ჯგუფური და იტალიის Wizz Club-ის წევრობა იწყება, როდესაც შეიძენთ წევრობას და სრულად გადაგვიხდით წევრობის საფასურს. Wizz Discount Club-ის უფასო წევრობა იწყება, როდესაც დაეთანხმებით ამ GTC-ს და გამოიწერთ სპეციალური შემოთავაზებების ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენს.

8.2. სტანდარტული/ჯგუფური და იტალიის Wizz Discount Club-ის წევრობა მოქმედებს 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში და იწყება

წევრობის შეძენის დღეს. Wizz Discount Club-ის უფასო წევრობა ძალაშია განუსაზღვრელი ვადით.

8.3. თუ Wizz Discount Club-ის უფასო წევრობა გაქვთ და მას სტანდარტულ/ჯგუფურ ან იტალიის Wizz Discount Club-ზე გადაიყვანთ, გაუმჯობესებული წევრობის მოქმედების 12-თვიანი პერიოდი დაიწყება შეძენის დღეს. თუ Wizz Discount Club-ის სტანდარტული წევრობა გაქვთ და მას ჯგუფურ Wizz Discount Club-ზე გადაიყვანთ, ჯგუფური წევრობის მოქმედების პერიოდი სტანდარტული წევრობის მოქმედების ვადით განსაზღვრება (მაგ., თუ სტანდარტული წევრი იყავით 6 თვის განმავლობაში, შემდეგ კი ჯგუფურ წევრობაზე გადახვედით, ჯგუფური წევრობის მოქმედების ვადა 6 თვის შემდეგ ამოიწურება).

8.4. სტანდარტული/ჯგუფური და იტალიის Wizz Discount Club-ის წევრობის შეწყვეტის, გაუქმების ან ვადის გასვლის შემდეგ Club-ის შეღავათებით ვეღარ ისარგებლებთ. Wizz Discount Club-ის მსუბუქი დონის წევრობა, ასევე, შეიძლება შევწყვიტოთ ან თქვენ გაუქმოთ და ამის შემდეგ Club-ის შეღავათები აღარ გერგებათ.

8.5. სტანდარტული/ჯგუფური ან იტალიის წევრობის შეწყვეტის, გაუქმების ან ვადის გასვლის შემთხვევაში ავტომატურად გადახვალთ WDC-ს უფრო დაბალ, მსუბუქი დონის წევრობაზე. თუ ქვედა დონეზე გადასვლის უარყოფა გსურთ, შეგიძლიათ შეწყვიტოთ WDC-ს მსუბუქი დონის წევრობა, როგორც ამას ითვალისწინებს პუნქტი 8.4.

8.6. ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია შეგიწყვიტოთ წევრობა თქვენთვის წერილობითი შეტყობინების გამოგზავნით.

8.7. გაითვალისწინეთ, რომ თუ წევრობის შეწყვეტას გადაწყვეტთ, წევრობის მოსაკრებელი დაბრუნებას არ ექვემდებარება (არც მთლიანად და არც ნაწილობრივ).

9. WIZZ Discount Club-ის წევრობა ერთობლივი საკრედიტო ბარათების მფლობელთათვის

9.1. ერთობლივი საკრედიტო ბარათების მფლობელებს WIZZ Discount Club-ის სტანდარტული წევრობით სარგებლობა შეუძლიათ წევრობის მოსაკრებლის გადახდის გარეშე. ერთობლივი საკრედიტო ბარათების მფლობელებს, რომლებიც უფასო სტანდარტული წევრობით სარგებლობენ, ავტომატურად ენიჭებათ მსუბუქი დონის წევრობაც.

9.2. WIZZ Discount Club-ში ერთობლივ ბარათთან დაკავშირებული სტანდარტული წევრობა მოქმედებს 12 თვის განმავლობაში. WIZZ Discount Club-ის სტანდარტული წევრობა აქტიურდება საკრედიტო ბარათის მფლობელის მიერ საკუთარი WIZZ ანგარიშის ონლაინ გააქტიურების მომენტში.

9.3. WIZZ Discount Club-ის სტანდარტული წევრობა ავტომატურად გახანგრძლივდება კიდევ ერთი წლით, თუ საკრედიტო ბარათი მოქმედია.

9.4. თუ ერთობლივი საკრედიტო ბარათის გამო Wizz Discount Club-ის სტანდარტული წევრობა გეკუთვნით და მას ჯგუფურ წევრობაზე გადაიყვანთ, ჯგუფური წევრობის მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთობლივი ბარათით უზრუნველყოფილი სტანდარტული წევრობის მოქმედების ვადის მიხედვით (მაგ., ერთობლივი საკრედიტო ბარათი 1 იანვარს გააქტიურეთ, შემდეგ კი

სტანდარტული წევრობა ჯგუფურ წევრობაზე გადაიყვანეთ ივლისში. ჯგუფური წევრობის მოქმედების ვადაც 31 დეკემბერს ამოიწურება.)

9.5. საკრედიტო ბარათების იმ მფლობელებს, რომლებიც უკვე არიან სტანდარტული WIZZ Discount Club-ის მოქმედი წევრები, ქვეპუნქტში 9.1 განმარტებული სტანდარტული წევრობით სარგებლობა შეეძლებათ წინა წევრობის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ.

9.6. საკრედიტო ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის ან საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული ხელშეკრულების ბანკისა თუ საკრედიტო ბარათის მფლობელის მიერ შეწყვეტის შემთხვევაში Wizz Air იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს WIZZ Discount Club-ის წევრობა ან შეზღუდოს მსუბუქი დონის წევრობით.

9.7. WIZZ Discount Club-ის იმ წევრებზე, რომლებიც საკრედიტო ბარათების მფლობელები არიან, ვრცელდება წინამდებარე წესებისა და პირობების ყველა დებულება მე-9 პუნქტის შესაბამისად.

10. მარეგულირებელი კანონმდებლობა

ეს GTC ექვემდებარება უნგრეთის კანონმდებლობას. უნგრეთის სასამართლოებს ექნებათ არაექსკლუზიური იურისდიქცია ნებისმიერ სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო დავაში, რომელიც წარმოიქმნება ამ ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის (თუმცა ამით არ შემოიფარგლება), მის შექმნასთან, მოქმედებასა და მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით. თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნის რეზიდენტი მომხმარებელი ხართ, შესაძლოა, ასევე უფლება გქონდეთ, ჩაერთოთ სამართალწარმოებაში წევრი ქვეყნის სასამართლოებში.

ძალაში შესვლის თარიღი: [...]